ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №38

20 დეკმბერი, 2019 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
12:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე.
2. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი.
3. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი.
4. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი.
5. დავით რურუა - კომისიის წევრი.
6. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ვიქტორ წილოსანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ (12-03193473-03; 13.12.2019);

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031935379-03 19.12.2019);

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0319344108-03; 10.12.2019);

4. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0319339117-03; 05.12.2019);

5. საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას

მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-0319339118-03; 05.12.2019);

6. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-03193471-03; 13.12.2019);

სხდომას თავმჯდომარეობდა - თედო ისაკაძე.

მომხსენებლები:

- **ვლადიმერ ჭიღლაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი;
- **გაიოზ თალაკვაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **ლევან მიქაია** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- **ვასილ აბულაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

თ.ისაკაძე - სხდომაზე პირველ საკითხად წარმოდგენილია თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ვიქტორ წილოსანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი. აქვე მინდა დავამატო, რომ კომისია ძალიან აქტიურად თანამშრომლობდა ტრანსპორტის სამსახურის წინა ხელმძღვანელთან, ვიმედოვნებთ მჭიდრო თანამშრომლობა ასევე გაგრძელდება ახალ ხელმძღვანელთან.

ვ.წილოსანი - დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის, აქვე გაცნობებთ, რომ ორშაბათს საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებთან დაგეგმილი გვაქვს შეხვედრა, შეხვედრაზე განვიხილავთ სხვადასხვა თემებს, მათ შორის ახალი ავტობუსების განაწილების, ავტობუსების მოსაცდელების და ელექტროდამტენების საკითხს, დაახლოებით 100 დამტენის დაყენების ვალდებულება აქვთ დეველოპერებს. დღეს ოფიციალურად ხდება ჩემი კანდიდატურის მხარდაჭერა, მაგრამ დიდი ხანია შეხება მაქვს ტრანსპორტის საკითხებთან.

შ.ოგბაიძე - უფასო დამტენებზე რა პერსპექტივა გვაქვს.

ვ.წილოსანი - ელექტროდამტენების დამონტაჟებიდან 1 წლის განმავლობაში, დამტენით სარგებლობა იქნება უფასო.

შ.ოგბაიძე - თხოვნა მექნება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან გავმართოთ შეხვედრა.

ვ.წილოსანი - გეთანხმებით, რომ არასამთავრობო სექტორის ჩართულობა აუცილებელია. აქვე მინდა გაცნობოთ, რომ 1 მარტიდან ტრანსპორტის საქალაქო სამსახური გადაკეთდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, მაგრამ ეს არ გამოიწვევს უხეშ საკადრო ცვლილებებს, მოხდება თანამშრომელთა გადამზადება და განხორციელდება ელექტრონული შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ვიქტორ წილოსანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი (12-03193473-03; 13.12.2019) განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031935379-03 19.12.2019);**

თ.ისაკაძე - წარმოდგენილი პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება **5 616,0 ათასი ლარით** და განისაზღვრება **1 106 066,8 ათასი ლარით,** პროექტის მიხედვით ზრდა გვაქვს ტრანსპორტის ნაწილში.

გ.თალაკვაძე - ბიუჯეტის მოცულობის ზრდა ხორციელდება მიმდინარე პერიოდში ჩატარებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებისა და სხვადასხვა პროგრამებში/ქვეპროგრამებში გამოთავისუფლებული რესურსების ხარჯზე.

ბიუჯეტის მოცულობის ზრდისა და მოძიებული ეკონომიების გათვალისწინებით სხვადასხვა პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე სულ გადანაწილდა **59 315 300 ათასი** ლარი, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) – **55 000,0 ათასი** ლარით;

- სასწრაფო სამედიცინო დახმარება (კოდი 06 01 01) – **1 500,0 ათასი** ლარით;

- საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 06 02 11) **– 2 800,0 ათასი** ლარით;

- სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) – **15,3 ათასი** ლარით.

მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) – **6 800,0 ათასი** ლარით;

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) – 1 **752,9 ათასი** ლარით;

- საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) – 3 800,0 ათასი ლარით;

- გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) – **800,0 ათასი** ლარით;

- ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) – **16 000,0 ათასი** ლარით;

- გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) – **5 123,0 ათასი** ლარით;

- ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) – **360,9 ათასი** ლარით;

- თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 04 03) – **44,0** ათასი ლარით;

- შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა (კოდი 04 07 02) – **14,3 ათასი** ლარით;

- სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მომსახურება (კოდი 04 07 03) – **10,0 ათასი** ლარით;

- საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 04 07 05) – **246,2 ათასი** ლარით;

- ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი 04 09) – **25,6 ათასი** ლარით;

- ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება (კოდი 04 12) – **2 916,5 ათასი** ლარით;

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – **6 000,0** ათასი ლარით;

- საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) – **1 725,0** ათასი ლარით;

- უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 05 01) – 49,0 ათასი ლარით;

- სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) – **47,0** ათასი ლარით;

- სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) – **639,9 ათასი** ლარი;

- კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 08 11 01) – **1,9 ათასი** ლარით;

- თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა (კოდი 09 01) – **1 460,0** ათასი ლარით;

- მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10 02) – **1 272,7** ათასი ლარი;

- ფინანსთა სამინისტროსგან აღებული სესხის მომსახურება (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)) (კოდი 10 42) – **1 789,4** ათასი ლარით;

- თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 46) – **110,9** ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **1 043 916,5** ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება **62 150,3** ათასი ლარით.

შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **1 009 839,6** ათასი ლარის ოდენობით, აქედან:

- ✓ **გადასახადები 658 415,2 ათასი ლარი:**

- საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 150 000,0 ათასი ლარი.
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 19 000,0 ათასი ლარი.
- მიწაზე ქონების გადასახადი 16 000,0 ათასი ლარი.
- დამატებული ღირებულების გადასახადი 473 415,2 ათასი ლარი.

- ✓ **გრანტები 151 149,6 ათასი ლარი:**

- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 689,6 ათასი ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 460,0 ათასი ლარი;

- სპეციალური ტრანსფერი 150 000,0 ათასი ლარი.

- ✓ **სხვა შემოსავლები 200 274,8 ათასი ლარი, მათ შორის:**

- შემოსავალი საკუთრებიდან – 10 650,0 ათასი ლარი.

- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 47 000,0 ათასი ლარი.

- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 74 000,0 ათასი ლარი.

- მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის - 10 000,0 ათასი ლარი;

- სანებართვო მოსაკრებლები - 10 850,0 ათასი ლარი;

- სანქციები (ჯარიმები და საურავები) – 40 000,0 ათასი ლარი;

- სხვა შემოსავლები – 7 774,8 ათასი ლარი.

წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 106 066,8 ათასი ლარით, მათ შორის:

- ✓ ხარჯები განსაზღვრულია 800 316,5 ათასი ლარით;
- ✓ არაფინანსური აქტივების ზრდა 296 091,0 ათასი ლარით;
- ✓ ვალდებულებების კლება 9 659,3 ათასი ლარით.

თ.ისაკაძე - აღსანიშნავია, რომ სატრანსპორტო საკითხთა კომისია დადებითად აფასებს ცვლილებებს, ვინაიდან წარმოდგენილი ბიუჯეტით მნიშვნელოვნად იზრდება საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციის ქვეპროგრამა (კოდი 01 02 02) **– 55 000,0 ათასი** ლარით. თანხის უდიდესი ნაწილი მოხმარდება ახალი, ეკოლოგიურად სუფთა და თანამედროვე

სტანდარტების მქონე ავტობუსების შეძენა, რაც თავის მხრივ გააუმჯობესებს ტრანსპორტით მგზავრთა მომსახურების ხარისხს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031935379-03 19.12.2019) განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

3. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0319344108-03; 10.12.2019);**

გ.თალაკვაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში რა ტექნიკური შენიშვნებიც იყო შესწორებული იქნა, წარმოგიდგენთ ბიუჯეტის პროექტს დეტალურად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენისთვის გათვალისწინებულია **121 731.1 ათასი ლარი.** პრიორიტეტის ფარგლებში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთების პროგრამისათვის გათვალისწინებულია 91 872.6 ათასი ლარი, მათ შორის რაიონების გზების მოვლა-შეკეთების ქვეპროგრამებისთვის ჯამში 43 772.6 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 1167.4 ათასი კვმ გზის კაპიტალური და 535.3 ათასი კვმ გზის მიმდინარე შეკეთება. **ტრანსპორტის განვითარების პროგრამისთვის განსაზღვრულია 29 858,5 ათასი ლარი, მათ შორის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებისათვის - 17 258,5 ათასი ლარი და საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციისათვის - 12 600,0 ათასი ლარი.**

- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრებისთვის გათვალისწინებულია - **269 356.9 ათასი ლარი.** პრიორიტეტის ფარგლებში, ქალაქის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში (95 943,5 ათასი ლარი), გაგრძელდება უკვე დაწყებული პროექტების დაფინანსება, როგორიცაა ისტორიულ-კულტურული ძეგლების, სადარბაზოებისა და მუზეუმების რეაბილიტაცია,

გუდიაშვილის, თაბუკაშვილის, ფურცელაძის ქუჩების რეაბილიტაცია. ასევე, პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა ავარიული შენობების გამაგრება 15 000,0 ათასი ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სავარაუდოდ 15 შენობის გამაგრება; საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქციისთვის 45 414,1 ათასი ლარი, მათ შორის სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქციის, სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა რეაბილიტაციისთვის 6 010.0 ათასი ლარი, ხიდებისა და გვირაბების მოწყობა-რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებულია 24 603,1 ათასი ლარი, საყრდენი კედლების მშენებლობა რეკონსტრუქციისთვის 5 107,7 ათასი ლარი და სხვა. პროგრამისთვის გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია - 22 000,0 ათასი ლარი, რომლიც ფარგლებშიც გათვალისწინებულია ქ. თბილისის მასშტაბით გარე ქსელის განვითარება 2,0 მლნ ლარის ოდენობით. ქვეპროგრამისათვის კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში გათვალისწინებულია 60 539,2 ათასი ლარი.

- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნების და გაუმჯობესებისთვის გათვალისწინებულია **111 348.1 ათასი ლარი.** პრიორიტეტის ფარგლებში გამწვანების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 43 056,1 ათასი ლარი, მათ შორის ახალი სკვერების მოწყობა-რეაბილიტაციისთვის 15 126,3 ათასი ლარი, მცენარეთა შესყიდვა-დარგვისთვის 9 000,0 ათასი ლარი, ეკოსერვისის ფუნქციონირების ხარჯები განისაზღვრება 10 000,0 ათასი ლარით. დასუფთავების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 62 000,0 ათასი ლარი, მათ შორის სხვადასხვა ზომის ნაგავშემკრები კონტეინერების შეძენისთვის 3 000,0 ათასი ლარი, მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე პირველი და მეორე უჯრედის შეფუთვა-კონსერვაციისა და გაზის შეკრების, უტილიზაციისა და ღირებულ პროდუქტად გარდაქმნისათვის საჭირო ღონისძიებებისათვის 8 000,0 ათასი ლარი. თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობისთვის 6 292,0 ათასი ლარი.

- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისთვის გათვალისწინებულია **7 127.5 ათასი ლარი;**

- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარებისთვის გათვალისწინებულია **38 296.3 ათასი ლარი;**

- ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფისთვის გათვალისწინებულია **151 695.8 ათასი ლარი.** პრიორიტეტის ფარგლებში ჯანდაცვის პროგრამისათვის განსაზღვრულია 16 722,0 ათასი ლარი, მათ შორის გათვალისწინებულია და გრძელდება ,,c" ჰეპატიტის დიაგნოსტიკის, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების და ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამები, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება, ტრანსპლანტაცია. სოციალური დაცვის პროგრამებისთვის ჯამში გათვალისწინებულია 134 973,8 ათასი ლარი, მათ შორის, **პროგრამისთვის საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მეტროთი და საბაგიროთი უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურება;**

- პროგრამისთვის განათლება გათვალისწინებულია **168 811,0 ათასი ლარი.** პრიორიტეტის ფარგლებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობას 144 668,9 ათასი ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც დღეის მდგომარეობით ფინანსდება 185 საბავშვო ბაღი. 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 15 ბაღის დემონტაჟი და მშენებლობის დაწყება და გაგრძელდება ავარიული ბაღის შენობების გამაგრება;

- პროგრამისთვის კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა გათვალისწინებულია **41 835.5 ათასი ლარი.** 2020 წელს გაგრძელდება მუნიციპალური თეატრების დაფინანსება, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა, სპორტული ღონისძიებების დაფინანსება, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება, პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები, მწრვთვნელთა მხარდაჭერა, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა და სხვა კულტურულ-სპორტული ღონისძიებები;

- პროგრამისთვის საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება გათვალისწინებულია **6 601.2 ათასი ლარი;**

- პროგრამისთვის ქალაქ თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები გათვალისწინებულია **104 597,1 ათასი ლარი.**

ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ხარჯები პროექტით განსაზღვრულია 727 165.5 ათას ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 67 237.8 ათასი ლარით. საქონელი და მომსახურების მუხლით

გათვალისწინებულია 149 692.7 ათასი ლარი, პროცენტი 1 850,2 ათასი ლარი, სუბსიდიები 191 071.4 ათასი ლარი, გრანტები 449,5 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 150 273,9 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 166 590.1 ათასი ლარით, მათ შორის ფინანსდება ისეთი პროგრამები, როგორიცაა ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა და სხვა.

2020 წლისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა **17 392.9 ათას ლარით,** რაც ნიშნავს რომ ქალაქ თბილისის **2020 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური.**

რაც შეეხება გზების მშენებლობა და აღდგენას (კოდი: 01 01 01) ამ მიმართულებით იგეგმება თბილისის გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ახალი გზების მშენებლობა და არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, შემოერთებული ტერიტორიების ინტეგრაცია ქალაქთან, სატრანსპორტო კვანძების რეაბილიტაცია. კერძოდ დაგეგმილია შემდეგი გზების კაპიტალური შეკეთება:

- ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ქეთევან დედოფლის გამზირის - 6 085 282 ლარით;
- ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის - 7 832 917ლარით;
- ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი წერეთლის გამზირის - 6 736 592 ლარით;
- ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ო.ხიზანიშვილის ქუჩის და ი.ვეკუას ქუჩის - 2 591 111 ლარით და ქ .თბილისში, ვაკის რაიონში, ილია ჭავჭავაძის გამზირის რეაბილიტაცია - 3 441 236 ლარით.

ამასთან, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციის ქვეპროგრამის ფარგლებში (კოდი: 01 02 02) მგზავრთა მომსახურებისა და უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილია მეტროს მოძრავი შემადგენლობის (ვაგონების) მოდერნიზაცია (მოდერნიზაცია ჩაუტარდება 5 ცალ ვაგონს) და ავტობუსების შეძენა (შეძენილი იქნება 28 ერთეული, თანამედროვე, ევროპული სტანდარტების მქონე, დიზელზე მომუშავე 8 მეტრიანი ავტობუსი), რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის კომფორტულ და უსაფრთხო გადაადგილებას.

ი.ჯიშკარიანი - 2020 წელს რა რაოდენობის ავტობუსი ეყოლება თბილისს.

გ.თალაკვაძე - ყველას შესყიდვა თუ მოხერხდა 800 ავტობუსი იქნება.

თ.ისაკაძე - სატრანსპორტო საკითხთა კომისია დადებითად აფასებს წარმოდგენილ პროექტს, ვინაიდან სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის

მშენებლობა-აღდგენა კვლავაც რჩება ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება მასშტაბური სამუშაოები საგზაო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად (ახალი საგზაო მონაკვეთების მშენებლობა, არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-მოდერნიზება, სატრანსპორტო კვანძების რეაბილიტაცია). ასევე, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მეტროპოლიტენის, ავტობუსებისა და მიკროავტობუსების მომსახურების ხარისხი. მოწესრიგდება პარკირების სისტემა. მოეწყობა ახალი საფეხმავლო ქუჩები და ველოტრასები. უზრუნველყოფილი იქნება ავტობაზების მოდერნიზება და თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ინფრასტრუქტურით აღჭურვა. გაუმჯობესდება საგზაო ინფრასტრუქტურა და სატრანსპორტო ნაკადების მართვის სისტემა. მუნიციპალური ავტოპარკი ეტაპობრივად სრულად ჩანაცვლდება ელექტროტრანსპორტითა და ჰიბრიდული ტრანსპორტით. უზრუნველყოფილი იქნება სატრანსპორტო და საგზაო ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0319344108-03; 10.12.2019) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

4. **„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0319339117-03; 05.12.2019);**

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში და დადგენილების პირველი პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 4 დეკემბრის №19.1275.1610 განკარგულების პირველი პუნქტით დადგენილი საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტები დანართის შესაბამისად“.

ცვლილება განპირობებულია ობიექტური გარემოებით და მიზანია მოსახლეობისათვის სატრანსპორტო მომსახურეობის გაუმჯობესება. საქალაქო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის გამო, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ხშირია გზის სავალი ნაწილის სრული ან ნაწილობრივი გადაკეტვის აუცილებლობა, რაც განაპირობებს უკვე არსებულ მარშრუტებში შესაბამისი კორექტივების შეტანას მოკლე დროში, რათა არ იქნეს შეზღუდული გადაადგილება.

სწორედ იმისთვის, რომ დაინერგოს უფრო მოქნილი და ეფექტური სისტემა შემუშავდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვითაც დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართის შენიშვნას ემატება მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვითაც დედაქალაქის მთავრობას მიენიჭება უფლებამოსილება არსებულ მარშრუტებში დროებითი ცვლილებები შეიტანოს და ასევე, განსაზღვროს ახალი დროებითი მარშრუტები ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - განკარგულებით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- **„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0319339117-03; 05.12.2019) განხილულ იქნეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.**

5. **საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-0319339118-03; 05.12.2019);**

თ.ისაკაძე - აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილება განპირობა №17-47 დადგენილებაში დაგეგმილმა ცვლილებმა.

ვ.აბულაძე - როგორც მოგეხსენებათ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად შემოტანილია „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. პროექტის თანახმად დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართის (საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტები) შენიშვნას ემატება მე-3 პუნქტი. ცვლილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ენიჭება არსებულ მარშრუტში დროებითი ცვლილების შეტანის და ახალი დროებითი მარშრუტის განსაზღვრის უფლებამისილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - განკარგულებით, რომელიც წინასწარ იქნება შეთანხმებული თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვების მფლობელებთან და აღნიშნულის თაობაზე დედაქალაქის მუნიციპალიტეტის მთავრობამ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ინფორმირება.

„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის (საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტები) შენიშვნის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ახალი დროებითი მარშრუტის განსაზღვრის შემთხვევაში მომსახურების გაწევის ტარიფი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დადგინდება არაუმეტეს 0,8 ლარის ოდენობით.

ვ.წილოსანი - არის ავტობუსების მარშრუტები სადაც მოლოდინის დრო არის 110 წუთი, ამით გვაქვს საშუალება რომ მოკლევადიან პერიოდში გავაუმჯობესოთ მოსახლეობის მდგომარეობა.

შ.ოგბაიძე - როდის ჩაგვბარდება კომპანია „სისტრა“-ს მიერ ჩატარებული კვლევა.

ვ.წილოსანი - კვლევა ჯერჯერობით არ ჩაგვბარებია, როგორც იცით თბილისის მასშტაბით 10 სატრანსპორტო დერეფნის მოწყობა იგეგმება, აქვე მინდა ავღნიშნო, რომ 15 იანვრისთვის სატესტოდ ჩამოვიყვანთ 18 მეტრიან ავტობუსს, რომელსაც

გავატარებთ აღნიშნულ დერეფანში, იმისათვის რომ დავადგინოთ ავტობუსის შეთავსება თბილისის ინფრასტრუქტურასთან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- **„საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0319339118-03; 05.12.2019) განხილულ იქნეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.**

6. **„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-03193471-03; 13.12.2019);**

ვ.აბულაძე - დედაქალაქში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ელექტროსატრანსპორტო საშუალებების, როგორც ეკოლოგიურად უვნებელი სატრანსპორტო საშუალებების მფლობელებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით გამართული სპეციალური აუქციონის შედეგად, უფლებამოსილი პირის მიერ დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში განთავსდა ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენები. ზემოაღნიშნული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით პარკირების ადგილები აღჭურვილი უნდა იქნეს შესაბამისი საგზაო ნიშნებით, საგზაო მონიშვნებით და დამატებითი ინფორმაციის ნიშნებით (დაფებით), რაც უნდა განხორციელდეს პარკირების ოპერატორის მიერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ცვლილება შედის წესის მე-8 მუხლის პირველ პუნქტში და „ა“ და „ე“ ქვეპუნქტები ყალიბდება ახალი რედაქციით, რომელთა მიხედვით სპეციალური პარკირების ადგილების დამდგენი მანიშნებლები განისაზღვრება დანართი 5-ს და დანართი 6-ს შესაბამისად.

როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაადგილების უზრუნველსაყოფად, შესაბამისი საცნობი ნიშნის მქონე სატრანსპორტო საშუალებათა პარკირებისათვის სპეციალური პარკირების ადგილის დამდგენი, ასევე სპეციალური პარკირების ადგილის დამდგენი მანიშნებლები იმ

ელექტროძრავიანი მექანიკური სატრანსპორტო საშუალებებისთვის (რომელთა ძრავას მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია), რომლებიც აღნიშნულ ადგილს გამოიყენებენ მხოლოდ სატრანსპორტო საშუალების დამუხტვისთვის მაგრდება ბოძზე და ასევე დაიტანება გზაზე.

კანონის მიხედვით დარღვევად ითვლება პარკირების ადგილის გამოყენება ავტომობილის დატენვისთვის, სწორედ ამიტომ შემოგვაქვს საგზაო მოიშვნა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0319339118-03; 05.12.2019) განხილულ იქნეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თედო ისაკაძე